ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 146

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3-3-ში მდებარე №66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა №27-ში მდებარე №7 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3-3-ში მდებარე №66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა №27-ში მდებარე №7 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2235.2504 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. №3-3-ში, „ა“ ბლოკი, მე-7 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ ფართობის №66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქ. №27-ში, I ბლოკის მე-3 სართულზე მდებარე 65.40 კვ.მ. ფართობის №7 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ლიდია ყურაშვილისთვის (პ/ნ: 01024001554) საკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე